პროგრამული პროექტი - „აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე პროფესორების, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში“ (ქ. რომი, იტალია, 25-28 სექტემბერი 2018)

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა პროგრამის - „აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე პროფესორების, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში“ ფარგლებში, პროგრამული პრიორიტეტებიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მხარდაჭერისთვის მოამზადა დამატებითი პროექტი სათაურით ,, მეცნიერება და რელიგია მომავლისათვის“, რომელმაც ფინანსური მხარდაჭერა (42 ათასი ლარი) მიიღო.

ზემოთაღნიშნული მიმართულება პრიორიტეტების მიხედვით პრაქტიკულად განხორციელდა 2018 წლის 25-28 სექტემბერს რომში (იტალია), საპიენსას უნივერსიტეტში და ფართო რეზონანსი გამოიწვია.

პროექტის მიზანი იყო აქტიური ჩართულობა ინტერკულტურულ დიალოგში, კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია, განათლების ხელშეწყობა, სხვადასხვა ქვეყნების აკადემიური წრეების წარმომადგენლებისა და ახალგაზრდების ურთიერთდაახლოება, რწმენისა და განათლების სინერგია და სამშვიდობო პლატფორმის შექმნა.

პროექტის მონაწილეები იყვნენ სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდები და პროფესორები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- სამეცნიერო კონფერენცია
- ახალგაზრდული კონფერენცია - „ახალგაზრდობა და იდენტობა“
- ინტერკულტურული ვორქშოფი - „რა გვაერთიანებს და რა გვაშორებს“
- მასტერკლასები - „ქართული ფოლკლორი“
- გამოფენა ქართული კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთში
- გამოფენა „ქართული კალიგრაფია“
- აფხაზეთიდან დევნილი, იტალიაში მოღვაწე ქართველი პუბლიცისტის რუსუდან ჟორჟოლიანის წიგნის პრეზენტაცია
- პროექტის ფარგლებში შექმნილი წიგნის პრეზენტაცია
- ფილმის „სიმინდის კუნძულის“ პრეზენტაცია და დებატები